4342/3-2/21 2 14052021

4342/3-2/21
14-05-2021

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს
ბატონ დავით ზალკალიანს,

ბატონო დავით,

სამწუხაროდ ქვეყანას უკვე წლებია არ გააჩნია განახლებული ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია და საფრთხეების შეფასების დოკუმენტი. 2010 წლის შემდგომ არ განახლებულა სახელმწიფო სტრატეგია ოკუპირებულ ტერიტორიებთან მიმართებაში და ეს ხდება იმის ფონზე, როცა ძლიერდება მცოცავი ოკუპაცია და ანექსიისკენ გადადგმული ნაბიჯები, რასაც სუს-ის 2020 წლის საპარლამენტო ანგარიშიც მოწმობს. მეტიც, საოკუპაციო გამყოფ ხაზებთან სულ უფრო მეტად იზრდება დაძაბულობა, გახშირდა საოკუპაციო ძალების მიერ ჩვენი მოქალაქეების გატაცების და მათთვის უკანონო და ხანგრძლივი სასჯელის მისჯის ფაქტები. სახეზეა ოკუპირებულ რეგიონებში მწვავე ჰუმანიტარული კრიზისი. ე.წ. „ტატუნაშვილი ოთხოზორიას სია“ ფაქტობრივად ცარიელია და რეალურად რუსი სამხედროები არ ისჯებიან იმ დანაშაულებისთვის, რასაც ახორციელებენ ჩვენი მოქალაქეების წინააღმდეგ. 2020 წელს სოფელ ქვემო ჭალის მაცხოვრებელი ზაზა გახელაძე ჩვენ მიერ კონტროლირებადი ტერიტორიიდან-„სხვილოს ციხიდან“ გაიტაცეს ოკუპანტებმა. იგი ათი თვეა იმყოფება ცხინვალის ოკუპირებულ რეგიონში უკანონო პატიმრობაში და მისჯილი აქვს 12 წელი.

1. შესაბამისად, გთხოვთ მოგვახსენოთ, თუ რა სტრატეგია აქვს თქვენ უწყებას დეოკუპაციასთან, მცოცავ ოკუპაციასა და ანექსიისკენ გადადგმული ნაბიჯებთან მიმართებაში, როგორ და რა გეგმით აპირებთ ჩვენი მოქალაქეების უკანონო ტყვეობიდან გამოხსნას? რას უპირისპირებთ ოკუპირებულ რეგიონებში მწვავე ჰუმანიტარულ კრიზისს, გეგმავთ თუ არა „ტატუნაშვილი-ოთხოზორიას სია“-ში შეიყვანოთ მკვდარ სულებთან ერთად ის რუსი ოფიცრები, რომლებიც მონაწილეობდნენ ტატუნაშვილის და ოთხოზორიას მკვლელობის და წამების საქმეში, ისევე როგორც ზაზა გახელაძის ჩვენს მიერ კონტროლირებადი ტერიტორიიდან გატაცებასა და დაჭრაში.

საქართველოს ნატო-ში და ევროკავშირში გაწევრიანება წარმოადგენს ჩვენი ქვეყნის ეროვნულ ინტერესს. როგორც თქვენთვის ცნობილია ამა წლის 14 ივნისს ბრიუსელში იმართება ნატოს მორიგი სამიტი. უკრაინის პრეზიდენტმა ბატონმა ვლადიმირ ზელენსკიმ ნატოს წევრობის სამოქმედო გეგმის (MAP) მინიჭების მოთხოვნა არაერთგზის გაახმოვანა მაღალი პოლიტიკური ტრიბუნიდან, მათ შორის ნატოს ქვეყნების პირველ პირებთან. მეტიც, საქართველოს პრეზიდენტთან ქალბატონ სალომე ზურაბიშვილთან ამა წლის 15 აპრილს სატელეფონო საუბრისას განაცხადა, რომ „მოვიდა დრო, რომ უკრაინამ და საქართველომ

კონკრეტული წინადადებები მიიღონ MAP-ისა და ევროკავშირში გაწევრიანების გეგმის მისაღებად“. საქართველოს ხელისუფლებას, მიუხედავად ნატო-ში გაწევრიანების შესახებ კონსტიტუციური ჩანაწერისა ამ დრომდე ნატოს დაგეგმილ სამიტამდე არცერთი მაღალი ტრიბუნიდან არ განუცხადებია მაპ-ის მიღების სურვილი. საზოგადოებისთვის უცნობია თუ რა სამოქმედო გეგმა გააჩნია თქვენს უწყებას სამიტისთვის, რას ვითხოვთ და რისი მიღების იმედი გვაქვს. ეს მაშინ, როცა 2021წ. 10 მაისს „ბუქარესტის ცხრიანის“ სამიტში, რომელიც ერთგვარი მოსამზადებელი შეხვედრა იყო ნატოს ბრიუსელის სამიტამდე რუსეთის აგრესიული პოლიტიკის კონტექსტში უკრაინასთან ერთად საქართველოს უსაფრთხოების გამოწვევები არ იყო შესაბამის კონტექსტში განხილული. რუსულ საფრთხესთან მიმართებაში უკრაინასთან ერთად საქართველო საერთოდ არ იყო ნახსენები G7-ის წლევანდელ სამიტზეც.

2. შესაბამისად, გთხოვთ გვიპასუხოთ, თუ რა სტრატეგია გაქვთ საქართველოს ნატოში გაწევრიანების კუთხით, რატომ არ აყენებთ მაღალი პოლიტიკური ტრიბუნიდან საქართველოსთვის MAP-ის მინიჭების საკითხს, რატომ არ განიხილება საქართველო უკრაინასთან ერთად საერთაშორისო კონტექსტში მზარდი რუსული აგრესიის ფონზე, რას აკეთებთ ამ საკითხის აქტუალიზაციისთვის აშშ-ს ახალ ადმინისტრაციასთან და ნატოს სხვა წევრ ქვეყნებთან? რატომ არ გაქვთ განახლებული საქართველოს მთავრობის ნატოში და ევროკავშირში გაწევრების კომუნიკაციის სტრატეგია?
3. რა ეტაპზეა საქართველოს ევროკავშირში 2024 წელს წევრობაზე განაცხადის გაკეთებასთან დაკავშირებული სამუშაო პროცესი, არის თუ არა წინასწარ მოლაპარაკებები ამ საკითზე დაწყებული და მუშაობთ თუ არა საქართველოსთვის ე.წ. „საგზაო რუკის“ შექმნაზე? მუშაობთ, თუ არა ასოცირების შეთანხმებაში საქართველოსთვის „ევროპული პერსპექტივის“ მონიჭებისთვის?
4. რა ეტაპზეა საქართველოს და აშშ-ს შორის თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების გაფორმების პროცესი, როდის ელოდებით მის დასრულებას და მიმდინარეობს თუ არა მოლაპარაკებები აშშ-ს ახალ ადმინისტრაციასთან თავდაცვითი შეიარაღების მოწოდებასთან დაკავშირებით, მით უფრო იმ ფონზე, როცა საქართველო აშშ-სთან ერთად ტოვებს ავღანეთში მტკიცე მხარდაჭერის მისიას?
5. რამდენადაც ცნობილია თქვენი უწყება გაერო-ში მუშაობს აფხაზეთიდან, საქართველო და ცხინვალის რეგიონიდან/სამხრეთ ოსეთიდან, საქართველო იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა სტატუსის შესახებ“ რეზოლუციაზე მეტი მხარდამჭერის მოპოვებასთან დაკავშირებით. მიმდინარეობს თუ არა მუშაობა ერთ ან რამოდენიმე რეგიონულ ჯგუფთან აღნიშნულ რეზოლუციაზე შემოერთების მიზნით? ამასთან მუშაობთ თუ არ არაბულ ქვეყნებთან და ისლამური თანამშრომლობის ორგანიზაციასთან ამ და არაღიარების პოლიტიკის მიმართულებით?

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
თეონა აქუბარდია



პარლამენტის წევრი
გრიგოლ ვაშაძე



პარლამენტის წევრი
გიორგი ვაშაძე



პარლამენტის წევრი
დავით ბაქრაძე



პარლამენტის წევრი
ხათუნა სამნიძე



პარლამენტის წევრი
პაატა მანჯგალაძე



პარლამენტის წევრი
ზურაბ გირჩი ჯაფარიძე